პრესრელიზი

11 თებერვალს, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3) გაიმართება ხელნაწერების ელექტრონული ბაზის პრეზენტაცია, რომელიც დამზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ძველი ქართული სამწიგნობრო კერები“ ფარგლებში.

ორენოვანი ელექტრონული ბაზა არის თანამედროვე ტიპის საძიებო სისტემა, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თუ მეცნიერს, მისცემს საშუალებას მაქსიმალურად დეტალურად - ქალაქის, სოფლის, თუ რეგიონის, გადაწერის თარიღის, გადამწერის თუ სხვა მნიშვნელოვანი მონაცემის მიხედვით მოიძიოს ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ. გამართულ ღონისძიებაზე, ასევე, წარდგენილი იქნება პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი ორენოვანი ალბომი და რუკები, სადაც დატანილია სამწიგნობრო კერები.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ძველი ქართული სამწიგნობრო კერები სტრატეგია გულისხმობს დღემდე ხელმიუწვდომელი ინფორმაციის პოპულარიზაციას საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა სფეროებში.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი საცავი, სადაც ინახება ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი საბუთები, ისტორიული დოკუმენტები, ხელნაწერები და ა.შ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი მისია, სწორად დაცული საგანძურის პოპულარიზაციაა და მათი გამოყენება საგანამანათლებლო-კვლევით სფეროებში, რაშიც ორენოვან ელექტრონულ ბაზასა და ალბომს შეაქვს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Tel: 577 977 199
მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Tel: 598 84 84 88
E-mail: pr@manuscript.ac.ge
Web: www.manuscript.ge